საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-23/ნ
2015 წლის 29 ივლისი

ქ. თბილისი

„სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 4 თებერვლის №01-6/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 4 თებერვლის №01-6/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge; 06/02/2014; 470230000.22.035.016238) პირველ მუხლს დაემატოს 49-ე-52-ე პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„49. „ბავშვთა გასტროენტეროლოგია“ (დანართი 49).

50. „ბავშვთა ენდოკრინოლოგია“ (დანართი 50).

51. „ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია“ (დანართი 51).

52. „ბავშვთა ინფექციური სნეულებები“ (დანართი 52).“.

2. ბრძანებას დაემატოს დანართი №49 (ბავშვთა გასტროენტეროლოგია), დანართი №50 (ბავშვთა ენდოკრინოლოგია), დანართი №51 (ბავშვთა კარდიოლოგია-რევმატოლოგია) და დანართი №52 (ბავშვთა ინფექციური სნეულებები), თანდართული რედაქციით.

3. **ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო**